ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1602657

ნომერი: AR1265294

თარიღი : 12.11.2014

გაცემის თარიღი : 19.11.2014

გაცნობის თარიღი : 19.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ ანდღულაძე პ/ნ 01010000271
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ II კვ. კორ. 8 ბ. 58

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1265294 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.042.725) სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5) და მცირედზე და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1). „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები (იხ. დანართი).

აქვე მოგახსენებთ, რომ მოცემული მიწის ნაკვეთი ყვება დიდი დიღმის "ჩარჩო გეგმის" განვითარების არეალში (რომელიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს). "ჩარჩო გეგმის" შესაბამისად მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს სამსახურის მიერ დადგენილი განაშენიანების რეგულირების ხაზების დაცვით, ქუჩის მხრიდან 10მ. (იხ. დანართი), ამასთან გასათვალისწინებელია ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი.

ასევე მოგახსენებთ, რომ ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერში მიწის ნაკვეთის ფუნქცია ფიქსირდება როგორც სასოფლო–სამეურნეო და ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება განსაზღვრულია არასამეურნეო (სასაწყობე)შენობა–ნაგებობის ფუნქციით, საჭიროა მიწის ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო–სამეურნეო შეიცვალოს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფუნქციით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge